<u>დანართი N2</u>

საქართველოს ეროვნული სატყეო პროგრამის პროცესის (ესპპ) კონცეფცია

1. არსებული მდგომარეობა

საქართველოში 2013 წელს დაიწყო სატყეო სექტორის მასშტაბური რეფორმა, ამავე წელს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ეროვნული სატყეო კონცეფცია, რომლითაც ქვეყანამ წინ წამოსწია სატყეო სექტორში არსებული პრობლემები და დასახა მათი გადაჭრის გზები. ეროვნული სატყეო კონცეფციის განხორციელებისთვის შეიქმნა ეროვნული სატყეო პროგრამის პროცესი. პროგრამის პროცესის (ესპპ) ინიცირების მიზანი საქართველოში სატყეო სექტორის რეფორმის კოორდინაცია და მხარდაჭერაა. პლატფორმა ყველა დაინტერესებულ მხარეს აძლევს შესაძლებლობას, რომ აქტიურად მიიღონ მონაწილეობა სამუშაო შეხვედრებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. პროგრამის (ესპპ) ფარგლებში შემუშავდა საქართველოს ახალი სატყეო კანონმდებლობა და დაიგეგმა ასობით მნიშვნელოვანი პროექტი და აქტივობა პარტნიორების, დონორებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა თანამონაწილეობით.

ეროვნული სატყეო პროგრამა წლების განმავლობაში მიმდინარეობდა გერმანიის საერთაშორისო საზოგადოების (GIZ), ავსტრიის განვითარების თანამშრომლობისა (ADC) და კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) მხარდაჭერით, რომლის ფარგლებშიც 2013 – 2022 წლებში ჩამოყალიბდა შვიდი სამუშაო ჯგუფი.

სამუშაო ჯგუფები:

1. „ტყის აღდგენა და დაცვა";
2. „ალტერნატიული ენერგორესურსები და შეშის მდგრადი გამოყენება";
3. „სატყეო განათლება და კვლევა";
4. „ინსტიტუციური რეფორმა";
5. „ტყის საინფორმაციო სისტემები";
6. „ტყეები სპეციალური კონსერვაციის ინტერესებით";
7. „ტყეები და კლიმატის ცვლილება".

აღნიშნული ჯგუფები უზრუნველყოფდნენ რეკომენდაციების, სტრატეგიების, სამოქმედო გეგმებისა თუ სამართლებრივი ჩარჩოების გაუმჯობესებას სპეციფიური, მეცნიერული და ტექნიკური ხასიათის საკითხებზე.

სამუშაო ჯგუფების უშუალო ჩართულობით ამ პროცესის ფარგლებში შეიქმნა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და სტრატეგიული დოკუმენტები. „ესპპ" ამჟამად სატყეო სექტორში მიმდინარე პროცესებით დაინტერესებული მხარეებისთვის შესაბამისი საკითხების გაცნობის ეტაპზე გადადის. ყველა დაინტერესებულ მხარეს შესაძლებლობა ექნება, გამოხატოს მოსაზრება და დოკუმენტთან დაკავშირებით გასცეს რეკომენდაცი(ები)ა. ეს პროცესები ხელს შეუწყობს მათ აქტიურ ჩართულობას, რაც, თავის მხრივ, გააუმჯობესებს დოკუმენტების ხარისხს.

იქიდან გამომდინარე, რომ სატყეო რეფორმა მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავების ფაზიდან გადადის მისი განხორციელების/აღსრულების ფაზაზე, რაც ასევე მოითხოვს მონაწილეობრივი, მულტიუწყებრივი ინსტრუმენტების განვითარებას და აქტიურ გამოყენებას, სამინისტროს დღის წესრიგში დგება პროგრამის განახლებისა და შემდგომი განვითარების საჭიროება.

კერძოდ, 2023 წლიდან პროგრამით წარმოდგენილი იქნება შვიდი სამუშაო ჯგუფის ნაცვლად პროცესში მონაწილეთა შემადგენლობა. ამასთანავე, ვინაიდან „ესპპ“ წარმოადგენს კარგ მექანიზმს პროცესების გამჭირვალედ წარმართვისა და სფეროთი დაინტერესებულ პირთათვის ინფორმაციის გავრცელებისთვის, სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება „ესპპ-ის“ ინსტიტუციონალიზაციის შესახებ, რაც თავის თავში აგრეთვე მოიაზრებს პროცესის მართვას სამინისტროში კონკრეტულად ამ მიმართულებით დასაქმებული თანამშრომლის მიერ.

2. ხედვა

ეროვნული სატყეო პროგრამის პროცესი (ესპპ) წარმოადგენს მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას სატყეო სექტორში მიმდინარე პროცესებში და მხარეებს საშუალებას აძლევს, აქტიურად მიიღონ მონაწილეობა სამუშაო შეხვედრებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

3. მანდატი

პროგრამის მანდატია, როგორც ახალი მარეგულირებელი და სახელმძღვანელო დოკუმენტების შემუშავების, ისე არსებული საკანონმდებლო და სტრატეგიული დოკუმენტების აღსრულებასთან დაკავშირებული სტრატეგიული გადაწყვეტილებების შესახებ საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის უზრუნველყოფა, დონორთა და სხვა პროგრამების კოორდინაცია; ამასთანავე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მიღებული რეკომენდაციებისა და კომენტარების მაქსიმალურად ასახვა.

4. პროცესის მართვაზე პასუხიმგებელი სტრუქტურული ერთეული

პროგრამის განხორციელების კოორდინაციაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულად 2023 წლიდან განისაზღვრება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტი, რომელიც უზრუნველყოფს:

ა) შეხვედრების ორგანიზებას;

ბ) დაინტერესებული პირების ინფორმირებას;

გ) შეხვედრის ოქმებისა და საინფორმაციო ფურცლის მომზადებას და მის მიწოდებას ფართო საზოგადოებისთვის.

საქართველოს ეროვნული სატყეო პროგრამის პროცესი (NFPP) დაფინანსდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტიდან. ამავდროულად, სამინისტრო უფლებამოსილია, ფინანსური მხარდაჭერისთვის მიმართოს პარტნიორებს (საჭიროების შემთხვევაში).

საჭიროების შემთხვევაში, საერთაშორისო და ეროვნული დონის ორგანიზაციებთან თანამშრომლობისთვის, სამინისტრო აფორმებს მემორანდუმს პროცესის ფინანსური თუ ტექნიკური მხარდაჭერისთვის.

5. მონაწილეთა შემადგენლობა

საქართველოს ეროვნული სატყეო პროგრამის პროცესში მონაწილეობის უფლება აქვს სატყეო სექტორის რეფორმით დაინტერესებულ ყველა პირს. პლენარული შეხვედრის ფორმატი არის ჰიბრიდული - ადგილზე მონაწილე პირებს იწვევს სამინისტრო, ხოლო ონლაინ რეჟიმში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა აქვს ყველა დაინტერესებულ პირს.

6. საორგანიზაციო საკითხები

წლის განმავლობაში სამინისტროსა და სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებების ინიციტივით იმართება, სულ მცირე, 10 სამუშაო შეხვედრა, ხოლო დაინტერესებული პირების მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია გაიმართოს დამატებითი შეხვედრები, რის შესახებ ინფორმაცია თავსდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე.

სამუშაო შეხვედრებზე დგება ოქმი და მზადდება საინფორმაციო ფურცელი, რომელიც ეგზავნება პროგრამის ყველა წევრს ელექტრონული ფოსტის საშუალებით ქართულ და ინგლისურ ენებზე.

წლის ბოლოს იმართება პლენარული შეხვედრა, სადაც დაინტერესებულ პირებს მიეწოდებათ ინფორმაცია ეროვნული სატყეო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობებისა და შედეგების შესახებ.